№ 242. 19 ნოემბერი, ხუთშაბათი. 1866—1881 19 ნოემბერი, ხუთშაბათი. № 242.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე [illegible] მოთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

მომავალს 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი: Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“ ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: | 9 მან. | სამის თვით | 3 „ |
| ნახევარის წლით | 5 „ | ერთის თვით | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

(„საერთაშორისო ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურგი 17 ნოემბ. რკინის გზების კომისიამ ბარანოვის თავმჯდომარეობით, მოილაპარაკა იმაზედ; თუ რა ზომები იხმაროს რკინის გზების გალებისა და შემთხვევით შეუძლებლობის დასაკმაყოფილებლად.

გაზეთი „ახალი ამბები“ იწერება: ფინანსთა სამინისტრო არჩევს პროექტს, რომლის ძალითაც აღიკრძალება რუსეთიდგან ნავთის გატანა.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ნოემბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94—75 |
| მეორესი — — — — | 91—12 |
| მესამესი — — — — | 92— „ |
| მეოთხესი — — — | 91— „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89—75 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—75 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—75 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | 7—74 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 220—75 |
| მეორე სესხის — — | 214—25 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 25—53 | პენსი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურგი — | 217—50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 269— „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | — — | |

## თფ. სამხედრო გიმნაზიის წესები.

თფილისი, 18 ნოემბერს.

გუშინდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი მარიამ შაბანოვის ქალისა:

„ჩემი შვილი, კონკურსის ეგზამენის დაჭერის შემდეგ, მიღებულ იქმნა აქაურს სამხედრო გიმნაზიაში და ერთის თვის შემდეგ ის მოკვდა ამ გიმნაზიის ლაზარეთში.

„7 ნოემბერს ჩემი შვილი ავად გამხდარიყო; წინა დღეს უმაწვილები წაეყვანათ აბანოში დილის 5 საათზე და შემდეგ სააბანოვარ შაგირდებს მთელი დღე საზაფხულო ტანისამოსით ერბინათ. გასაკვირველი არ არის, რომ ამისთანა სპარტანულ ცხოვრებას უჩვევი უმაწვილები გაცივდებოდნენ და ავად გახდებოდნენ. მართლაც, ჩემი შვილი იმ დღესვე გახდა ავად და მეორე დღეს საავადმყოფოში წაიყვანეს.

„რადგან მე თვითონ ვუვლიდი ჩემს შვილს, ამის გამო კარგად გავიცანი საავადმყოფოს წესები და მინდა ამ საგანზე ორიოდე სიტყვა ვსთქვა:

„ჯერ ერთი რომ ლაზარეთი სრულებით საავადმყოფო სადგომისათვის არ არის მოწყობილი: ოთახებში თავისუფლად შემოდის გარედამ ცივი ჰაერი და ცხადია, რომ მყივანა-ხველით ავადმყოფნი ამისთანა სადგომში ადვილად გაცივდებიან და ფილტვის ანთება და ან სხვა რამ უარესი ავადმყოფობა დაემართებათ. მეორე ფანჯარები ოქტომბრის დამლევს ჩაუსვეს. რვა ავადმყოფს ერთი მოუგარაული ფერშალი და ორი მსახური უვლიდნენ; რა მოვლა შეუძლია სალდათებს, რომელთაც ამას გარდა სხვა საქმეც ჰქონდათ მინდობილი გიმნაზიაში?

„დღისით კიდევ ჰო, როგორიც იყო მოვლა, ჰქონდათ ავადმყოფებს; მაგრამ ღამით სრულიად უპატრონოდ რჩებოდნენ: დღიურ მუშაობისგან დაღალული ფერშალი და მოსამსახურე სალდათი მკვდარივით წაეგდებოდნენ და იძინებდნენ; ავადმყოფები კი ღვთის-ანაბარა იყვნენ. ნუ თუ გიმნაზიის მთავრობას არ შეუძლია ერთი ან ორი დედაკაცი (დანი მოწყალებისანი) დაიქირაოს ავადმყოფ შაგირდების მოსავლელად?

„საცვალი ავადმყოფებისათვის ისეთი ნოტიო და ხან სველი მოჰქონდათ, რომ ერთი საათი მაინც უნდა მეშრო, სანამ ავადმყოფს ჩაავცმევდი. ერთხელ ისეთი დახეული ნიფხავ-პერანგი მოიტანეს, რომ უმაწვილს ვერ ჩავაცვი და ქამს უშაკოვს ვუჩვენე. ხალათები, ტუფლები (ფოსტლები) აგრეთვე ძველი და დახეულია. საჭმლის ჭურჭელს არ არჩევენ:

„დროების“ ფელეტონი, 19 ნოემბ.

## ქუთათური ამბები

როდესაც დრო გამოშვებითს მწერლობას ეხლანდელსავით უდგება იმისთანა დრო, რომ რედაქციები თითქმის მუდამ დღე აცხადებენ „ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, ეს-და-ეს სტატია ესე ვერ იბეჭდება, როგორც გვსურდა, ან სრულიადაც ვერ იბეჭდებაო“,—მაშინ, სწორედ რომ სიმწრის დღე უდგება და ორ-წყალ-შუა ყოფნა უხდება ჩემისთანა მდგომარეობაში მყოფს გაზეთის მოამბეს. ერთ კერძით გულის მომწყვლელი მოვლენანი საზოგადოებრივის ცხოვრებიდამ, რომელთ მოხსენება და განმარტება სულითა და გულით გსურს, და ეს შენს მოვალეობასაც შეადგენს,—მაგრამ ნამდვილად იცი, რომ „რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზი“ უწყალო მარჯვენის მოხებით შეუბრალებლად გაინავარდებს წითელის მელნით გაჟღენთილის კალმით შენს ნაწერზე და უნებურად უშვებ ხელს.... მეორე კერძით მკითხველები გიჭივრებენ საქმეს. ამათ ხშირად არ იციან და უფრო ხშირად კი არ უნდათ იცოდნენ „დამოუკიდებელ მიზეზთა“ სუფევა რას ნიშნავს ჯანი გაიგდე მწერალო და გაზეთო და მათ კი აცნობე და განუმარტე ის მოვლენანი, რომელნიც მისს თვალ-წინ ხდებიან, თუ არა შენი მნიშვნელობა იმათთვის ხანგრძლივად დაკარგულია!....

ვსთქვათ, მაგალითად, რომელიმე გორაზედ არის სამს-სართულიანს სახლში მოთავსებული ერთი რამ დაწესებულება, რომელშიაც ექვსასიოდე ახალ-გაზრდამ ყოველივე სიკეთეს უნდა შეეჩვიოს და შეეთვისოს. მაგრამ ეს „უნდა“ ცარიელ სიტყვად რჩება ცუდად მომართვისა და გამოუცდელის გამგებელის წყალობით. ერთს მშვენიერს დღეს ბ-ნი გამგებელი მკაცრად იცემება მისის შეგირდებისაგან.... უკაცრავად, ხელ-ქვეითისაგან. თავის მოვალეობის ერთგულს მოამბეს გინდა ამ მოვლენის მოხელთებით თვალ წინ დაუხატო მკითხველ საზოგადოებას ვრცელი სურათი ამ დაწესებულების მდგომარეობისა, მაგრამ „დამოუკიდებელი მიზეზი“ შავს სუდარას აფარებს შენს ნაწერებს...

— ეს დაწესებულება შეუხებელი უნდა იყოს!

ამით ამართლებენ ზემოთქმულს „მიზეზს“. იყავნ ნება თქვენნი, ბატონებო; მაგრამ უბედურება ის არის, რომ სიტყვით შეხების ნაცვლად მაგ დაწესებულების გამგეს ხელით ეხებიან, და, ვგონებ, ისევ სიტყვა სჯობდეს, რაც უნდა უსამართლო იყოს იგი! მწერლობის სიტყვა რომ უფრო კარგს მდგომარეობაში ყოფილიყო ჩვენში, მაგ მოვლენასაც ადგილი არ ექნებოდა, მაგრამ „ბატონებს“ რომ ასე არ სურსთ „ყმები“ დიდს ხანს ვერ შესცვლიან დროთა-ვითარებას და ჩვენც არ ერთ-გზის შეგვხვდება ამისთანა მოვლენის მუნჯ-მოწმედ ყოფნა...

მუნჯი უნდა ვიყოთ აგრეთვე შემდეგის გარემოების შესახებ: ტრაპიზონის ვილაიეტში, ქ. ტრაპიზონს ყოფილა ქალების უსასყიდლო სკოლა, რომელსაც ჰყოლია ზედამხედველად ცხრა მთის გადაღმიდამ ჩამოსული ქალი და მისს მეუფროსე მზრუნველად კი ქართველი ქალი—პოპწია-ხანუმ. სახალხო განათლების გამგეს დაუნახავს, რომ ბატონი ზედამხედველი ერთობ ცუდად ასრულებს თავის მოვალეობას და ეს მზრუნველისათვის მოუხსენებია. პოპწია-ხანუმი (ბიმბაშის ჩოლოქ-ოღლის მეუღლე) მისულა ზედამხედველთან და გამოუცხადებია „უნდა დაგითხოვოო“.—როგორ თუ დამითხოვო? ვინ ბძანდებით, რა გნებავსთ და რა უფლება გაქვსთ თქვენ ჩემზედაო? მიუგია უვარგისს ზედამხედველს და თანაც სისტიქინის სიტყვებიც თურმე მიუყოლებია. წარმოიდგინეთ: პოპწია-ხანუმს, რომელსაც კომპლიმენტების მეტი არაფერი სმენია მისს დღეში და არშიყობის მეტი (ნუ თუ?!) არაფერი უკადრებიათ მისთვის—სის-

მეივანა-ხვედიან ავადმყოფს და სხვებს ერთსა და იმავე ჭურჭელში აძლევენ საჭმელს...

„გასაკვირველია, რომ არც ექიმი, არც იმის თანაშემწე და არც ერთი ფერშალი თვითონ გიმნაზიაში არა დგას, რომ საჭიროების დროს დაუყოვნებლად შეეძლოსთ ავადმყოფის მიშველება.

„ჩემი შვილის სიკვდილის შემდეგ, ზოგიერთი ეს უწესოება მოისპო; მაგრამ გვიანღა იყო ჩემთვის...“

ამას წინად სამხედრო გიმნაზიის სხვაგვარ უწესოებაზედაც იწერებოდნენ თფილისის გაზეთებში: ამბობდნენ ეგზამენების დროს პროტექციას დიდი მნიშვნელობა აქვსო; ისეთს ყმაწვილებს, რომლებიც ამავე გიმნაზიის მასწავლებლებთან ემზადებიან, უფრო გაადვილებული აქვთ ეგზამენიო და სხვ.

ახლა ამას ეს უწესოებაც დაემატა. მთავრობას გარდა, თვითონ მშობლებიც არიან, მგონია, მოვალენი, რომ თავიანთ შვილების მდგომარეობას მიაქციონ ყურადღება. მისცეს, მიაბარეს გიმნაზიაში და განა ამით შეასრულეს თავის მშობლიური მოვალეობა? იმისთანა უგულო მშობელი როგორ მოიპოვება, რომ სთქვას: „—მადლობა ღმერთს, თავიდამ მოვიშორე შვილი და ახლა, როგორც ერჩიოსთ, ისე გამოზარდონო?“

უეჭველია, თვითონ მთავრობა მიაქცევს ყურადღებას შაბანოვის ქალის გამოაშკარავებას. მაგრამ სამხედრო გიმნაზიის შაგირდთა მშობლებს ამით მაინც კიდევ არ ექნებათ თავის მოვალეობა აღსრულებული: იმათაც უნდა იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, იმათაც უნდა მოითხოვონ, რომ ამისთანა უყურადღებობით და მოუცლელობით საიქიოს არ ისტუმრებდნენ იმათ შვილებსა.

გასაკვირველია, ღმერთმანი, ჩვენი გულ-გრილობა და დაუდევრება ამისთანა მძიმე საქმეში, რომელიც ჩვენს ღვიძლ შვილებს, ჩვენს მამავალ შთამომავლობას, იმედს შეეხება! სხვაგან რომ სადმე მომხდარიყო ამისთანა საქმე, მთელი ქვეყანა აყაყანდებოდა, ყველა გამოძიების დანიშვნას მოინდომებდა და, თუ ვინმე დამნაშავე აღმოჩნდებოდა, სასტიკად, სამაგალითოდ დასჯასა. და ჩვენ კი, თითქო აქ არაფერიაო, თითქო ეს საქმე ჩვენ არ შეგვეხება, თითქო ჩვენი შვილები არ იყვნენ, ისე გულ-გრილად ვისხდებით, ხმასაც არ ვიღებთ...

## ახალი ამბები.

ქალაქის რჩევის გუშინდელმა კრებამ, რომელსაც 39 ხმოსანი დაესწრო, სხვათა შორის გარდაწყვიტა, კავკასიის მთავარ სამმართველოს საშუალებით, ითხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ თფილისს მიეცეს ნება „საქალაქო საზოგადო ბანკის“ გამართვისა იმ პირობით, რომ ამ ბანკს ჯერ-ჯერობით არ ჰქონდეს უფლება ქალაქის უძრავ ქონების დაგირავებისა და ამ გვარ გირაოთი ფულის ვასესხებისა.

ამ ბანკის ძირის ფულად ქალაქს ის 70,000 მან. აქვს, რომელიც ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობიდამ უნდა მიიღოს ქალაქის მიწაზე რკინის გზის გაყვანისათვის.

ამავე სხდომაზე რჩევამ ნება მისცა ქალაქის გამგეობას თფილისის ჟანდარმის კამანდისათვის იყიდოს სახელმწიფო სახლი და ადგილი ოლგის ქუჩაზე, ვერაზე.

***

გუშინდელს ნომერში დაგვავიწყდა მოგვეყვანა სია იმ პირთა, რომელნიც „სომეხთ ქველის-მომქმედ საზოგადოებამ“ ამოირჩია გავლილ კვირას ამ საზოგადოების წარმომადგენლად. საზოგადოების თავსმჯდომარედ ამოირჩიეს დ-რი მ. შახ-პარონიანცი, სეკრეტრად—გ. ჩიმიშკიანი. რჩევის წევრებად: გაბ. სუნდუკიანცი, ბ. ნავასარტიანცი, ი. ჩითახოვი, ა. ანანოვი, ნ. ათაბეგოვი, ა. მელიქ-აზარიანცი, ნ. ხოსროევი, ა. მანთაშევი და დ. ტერ-ასატუროვი.

ამ ჟამად საზოგადოებაში 300 წევრამდინ არის ჩაწერილი და თან-და-თან ახლები ეწერებიანო.

***

ხაშურიდამ გვწერენ:

„აქაური ფოჩტის უფროსები ვინც კი ადრე ყოფილან, ყველა დაგვავიწყა ეხლანდელმა, ბ. ხ—ევმა. არასოდეს არ შეგვიძლიან მოსული კორრესპონდენცია მივიღოთ დანიშნულს დროზედ. თითონ ბ. ხ. ვილაც ნაცნობებს გადაეკიდება ხოლმე, რკინის გზის ბუფეტში ქეიფს სწევს და ჩვენ ფეხები ჩამოშეშებული გვაქვს ამის ცდაში.

„ამას გარდა მგზავრის დროზე გასტუმრება მოვალეობად უწერია; მაგრამ ეს დალოცვილი ისეთ-ისეთ მიზეზებს მოუგონებს ხოლმე, რომ რაც კი ცხენები არის დანიშნული, სრულად რომ ჰყავდეს, მაინც გაწვალებს“...

***

იქიდამვე შემდეგი შენიშვნა მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად:

„სხვა ბოროტ-მოქმედებათა შორის ფოთი-თფილისის რკინის გზის მოსამსახურებისა—ეს უფრო გახშირებულია, რომ საწყალი ბუფეტის დამჭერები ამათგან ლამის დალარიბდენ: საწყლებს მოსვენება არა აქვთ ამ მოსამსახურე პირებისაგან; სჭამენ, სმენ და მიდიან; ბევრი ნაწილი ფულსაც აღარ აძლევს. წინანდელ დროში ბატონები ყმებს ისე ვერ შეუტევდენ და ვერ მოისამსახურებდენ, როგორც ამ გზას მოსამსახურე პირებს იმსახურებენ ამ საწყალს ბუფეტების დამჭერებსა. სამსახურს ჯანი-გავარდეს, როგინად მაინც აძლევდნენ ფულსა. ბევრს თავის დანებება უნდათ, მაგრამ ამოდენა ნისია აქვთ ვის უნდა სთხოვონ! თუ ნისიად არ დახარჯეს, რამე მიზეზს მოუგონებენ და იმავე მინუტში გამოაგდებენ და ყოველივე სამზადისი გაუოხრდებათ.

„ერთი მოსამსახურე რკინის გზისა ბ. პ. ისე არ მოჰყვება მატარებელს, რომ ორ-ორი და სამ-სამი ქალი ბუფეტში არ შეიპატიჟოს და პატივი არა სცეს.—ღვთის წინაშე პურ-მარილით საქართველოს შვილსა ჰგავს, მაგრამ სასტუმროს ზარალის მიცემით ვისა—ეს კი არ ვიცით!.. მართალია, თითონ ნება აქვს, ამ გზის წესდების ძალით, სხვა გამვლელზედ ნაკლებ აძლიოს ფული საჭმელ-სასმელში, მაგრამ ამისგან მოპატიჟებული სტუმრებისა რა ვალი აქვთ ბუფეტჩიკებს, ამათ წესდებაზედ აჭამონ?“

***

აბასთუმნიდამ იწერებიან, რომ იქაურ მღვდელს სახალხო სკოლის გამართვა განუზრახავს, ათ თუმნამდინ მოუგროვებია ამ საქმისათვის და ახლავე ათიოდე ყმაწვილს ასწავლისო.

# უცხოეთი

პარიჟი, 11 (28) ნოემბ. („დროების“ კორრესპონდენცია). ამ უკანასკნელმა ომმა გამოააშკარავა საფრანგეთის სამხედრო ძალის სისუსტე. იმას გარდა რომ რიგიანი ორგანიზაცია და დისციპლინა არ აქვს ჯარს, არც საკმაოდ სურსათი ჰქონია. რასაკვირველია, მმართებლობა არ აცხადებს ოფიციალურად ამ თავის სისუსტეს და ცდილობს საზოგადოებამ არ იცოდეს ჭეშმარიტი მდგომარეობა ჯარი-

---

ტიქინით გააბრუა მოქვემდებარე ღლაპმა! მისდა საუბედუროდ, არავითარი წესდება არ ყოფილა, რომელშიაც მოხსენებული ყოფილიყოს მზრუნველს რა უფლება აქვს და რა არა, მაგრამ ცა და ქვეყანა მოწმეა, რომ დღემდის თვით ის ზედამხედველიც კი ყველაფერს უჯერებდა კოპწიას . . . . . . . . . . .

. . . . . . . . .

. . . . . ამბობენ, მოწაფეთა მშობლები თავიანთის შვილების გამოყვანას აპირებენო სკოლიდამ, რადგანაც უვარგისი ზედამხედველი გამოუცვლელი დარჩა... მეტს ჯერ-ჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ ამ საქმეზე...

—

თავის დროზედ მკითხველებს ვაუწყე, რომ ქუთაისი სახუმროდ არ გამოდის-მეთქი მწერლობის ასპარეზზედ, რომ აქაური ინტელლიგენცია თან-და-თან უმატებს თავის მოვალეობის ერთგულებას და მაშასადამე მამულის სამსახურს. კვირის გაზეთის „შრომის“ გამოსვლამ, არხეოლოგიურ კრების წევრთა აღტაცებულის სიხარულითა და გულ-უხვობით მიღებამ, ჩვენი მწერლობისათვის მოღვაწე ჩუბინაშვილისათვის გამართულმა ნადიმმა და რამდენიმე რიგიანი წიგნების ბეჭდვის დაწყებამ*) საკმაოდ დაამტკიცეს ჩემი სიტყვები? ზოგი კიდევ აწ გვიყურეთ. სმენა და გაგონება!

აქ, გაისიდამ აპირებენ კვირის სახუმრო-სატირული ჟურნალის გამოცემას. რედაქტორისა და გამომცემლების ვინაობას, ჯერ-ჯერობით, ზოგიერთის მიზეზის გამო ვერ გიმჟღავნებთ. სხვა ცნობანი კი მიირთვით: ჟურნალს ერქმევა „ხუმარა“, სივრცე ექნება რვა გვერდი 1877—78 წლის გაზეთის „ივერიის“-ოდენი. ხელისმოწერის ფასი ჯერ საბოლოვოდ დადგენილი არ არის, მაგრამ ვგონებ, ხუთს მანეთზე მეტი არ იქმნეს. გამომცემელთ სურდათ მხატვრობითი განყოფილებაც შეეტანათ, მაგრამ დღეს-დღეისად მოუხერხებელი დარჩა და ერთის წლის არსებობის შემდეგ, რადგანაც, იმედია, კარგი „ტაროსი“ დაუდგება, ეცდებიან მოახერხონ. ეხლანდელ ცხოვრების გარდა ჟურნალი ყურადღებას მიაქცევს ჩვენს ისტორიულს ოხუნჯობას, ზმას და სატირას და ისტორიულის მოხილვით წარმოუდგენს მკითხველებს მათს თავ-და-პირველს წარმოებას და თან-და-თანითს განვითარებას. ექნება აგრეთვე „საიქიოს“ განყოფილება, საიდამაც დაიბეჭდებიან შესაფერი კორრესპონდენციები. თუ ჟურნალი მაისამდინ ან მაისში გამოვიდა, რედაქციას იმედი აქვს, თავის საიქიოელის კორრესპონდენტის საშუალებით, იშოვნოს ზურაბ წერეთლისაგან მისი „მრწამსი“ და აგრეთვე მოაწერინოს, რა აზრის არის იგი მისის შთამომავლობისაგან ანდერძის შესრულებაზედ. ჩვენის აზრით, საქართველოს იმოდენი სანოვაგე ექნება ხუმრობისა და სატირის ჟურნალს, რომ საიქიო მეტის-მეტი ზედნადებია იმისათვის... მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ, საქართველოს „დამოუკიდებელ მიზეზთა“ სუფევის დროს, საიქიოს ამბები დაუფასებელი მასალა კი იქნება ჟურნალისთვის. ჩვენის აზრით, სიხარულით დაგვილოცავს ეკლებით მოფენილი სამწერლო გზა და ასპარეზი დასაბადებელ „ხუმარასათვის“, იმ იმედით, რომ ყოველივე მისი ხუმრობა, ოხუნჯობა და სატირა, ძალა-დაუტანებელი, დროთა გარემოების შესაფერი და კარგის მიმართულების იქნება...

—

„სანამდინ უნდა იხმარო ბოროტად, ჰოი კატილინავ, მოთმინებაი ჩვენი?“ ამ კლასიკურის სიტყვებით მივმართავ ბურულების ინტერესებაზა იქაურის მაზრის გამგეობის ერთს წევრს თ. ა. ნ—ძეს, თუმცა, რასაკვირველია, კატილინაზე ხეირიანს პასუხს არც იგი მომცემს. „დროების“ მე-215 ნომერში დაბეჭდილი იყო ბურიის შესახებ ფელტონი, რომელშიაც სხვათა შორის ეს ბ-ნიც ბრძანდებო-

*) გარდა ამისა თ. ზ. წულუკიძის სტამბა აცხადებს, რომ ავტორებს და მთარგმნელებს ბელლეტრისტიკურის ხასიათის წარმოებისას და სამაწვილო წიგნების შემადგენლებს ;თხოვთ თავიანთი შრომა გადმოგვცენ და ღირსებისამებრ შრომის ფასი მიიღონო. შრომის ფასიო! მეტი რა გინდათ? რას იტყვით, თბილისელებო?

სა. მაგრამ შეიძლება განა ეს, როდესაც უკანასკნელი სალდათი გზავნის გაზეთში ჩასაწერად სტატიას თავის თავისა და თავისი ამხანაგების მდგომარეობას; როდესაც ექიმები ერცლად და მიუდგომელად ჰხატავენ ავადმყოფების და დაჭრილების ცუდს მდგომარეობას?

არა თუ ეს, არც ის დამალულა- თუ რა იყო ნამდვილი მიზეზი თუნიზის ექსპედეციისა. ჰანრი როშფორი, როგორც იმპერიის მმართებლობას ჰკიცხავდა პრუსიელებთან ომისთვის, ისე ჰკიცხავს ეხლანდელ მმართებლობასაც თუნიზის ომისთვის. როშფორი ამბობდა: რომ იმპერიალისტები 1870 წელს იძახოდენ —„ბერლინში წავიდეთ, ბერლინში!“ ყველამ ვიცით, რომ ეს ძახილი სედანთან დამარცხებით გათავდა. და ეხლა თქვენ (ოპპორტუნისტებზედ ამბობს) იძახით რომ:-თუნიზში“ წავიდეთ, თუნიზში!“ გინდათ, რომ თქვენი სედანი იქონიოთო? მაშ, გარდა კერძო ინტერესისა რა ნაციონალური და რესპუბლიკის ინტერესი მოითხოვს თუნიზიას ომსა? როშფორი ამტკიცებს, რომ თუნიზის ექსპედიციის მიზეზი ის კი არ ყოფილა მარტო, რომ ხრუმირები აწუხებდნენ ფრანცუზების კოლონიას ალჟირიაში, არამედ უფრო ფინანსიური.

ეხლა დამტკიცებულია, რომ თუნიზიის შემოერთების პლანი ჰქონიათ, დიდი ხანია ზოგიერთთ სახელმწიფო საქმეების მმართველ კაცებსა; ამაზედ ბერლინის კონგრესსე ყოფილა მოლაპარაკება და ბისმარკსა და სალისბერს სრული დათანხმობა გამოუცხადებიათ.

ბისმარკმა მაინც საახალწლო საჩუქარივით უძღვნა თუნიზია ფრანცუზებს. ომის დაწყებამდინ ბისმარკის გაზეთებმა ისეთი თანაგრძნობა და მეგობრობა გამოუჩინეს ფრანცუზებს, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა; ერთხმად დასძახოდნენ ბერლინიდამ: მიბრძანდით თუნიზში, მოცილე არავინ ამოგიჩნდებათო!

არა-ერთ სახელმწიფოს შეჰქნია საწყენლად ბისმარკის დამეგობრობა. ბისმარკი უხდება ვისმეს მეგობრად იმისთვის, რომ მეგობრობის სახელით მას თვალი აუხვიოს და თავის გერმანიის სასარგებლოდ იმოქმედოს. ფრანცუზები პირველი მაგალითი არ არიან. ბისმარკს უნდოდა, რომ საფრანგეთის სამხედრო ძალა და ფინანსი აფრიკის დაპყრობაში ყოფილიყო მონდომებული; ფრანცუზების „რევანში“ (შურის-გება) ცოტა დიდი ხნის კოლოფში ყოფილიყო გარდადებული; ამ რიგად ელზას-ლოტარინგიის უკან დაბრუნებაზედ აღარ ეფიქრებიათ.

მმართებლობის ანგარიშით, შემოდგომამდინ დამორჩილებული იქნებოდენ ხრუმისელები; აგერ ზამთარმა მოაწია დამორჩილება არსადა სჩანს. ამბობენ, კიდევ ბევრი მილიონებისა და სალდათების შეწირვა საჭირო იქნება თუნიზიელების დასამშვიდებლადო.

თუნიზის საქმის გამო საფრანგეთმა მოიმდურა ინგლისი, ოსმალეთი და იტალია. ეს უკანასკნელი, როგორც საფრანგეთი, დიდი ხანია ილესამდა კბილებს თუნიზზედ.

ყველა ამას დასძინეთ ენერგიული „საზოგადო აზრი“ — უკმაყოფილება. როგორც პარიჟში, აგრეთვე სხვა ქალაქებში ხშირად ხდება მიტინგები უკმაყოფილების გამოსაცხადებლად...

28 (16) ოქტომბერს გაიღო პალატა დეპუტატებისა. სხდომების მმართველად ანუ დროებით პრეზიდენტად დაინიშნება ყველაზედ უხნესი დეპუტატი ბ. ბიშარი. ბ. გამბეტის განზრახვა იყო, რომ პალატის გახსნისათანავე კენჭი ეყარათ მისთვის პრეზიდენტობაზედ. ამ გზით გამბეტას უნდოდა შეეტყო რამოდენად კმაყოფილია ნაციონალური კრება მასზედ და როგორი უმრავლესობა შესდგებოდა ახალს პალატაში. გამბეტას კენჭი უყარეს; გამოდგა რომ მჭიდრო და შეურყეველი მმართებლობის უფროსობა, ის უფროსობა, რომელიც მზად იქნება მიჰყვეს გამბეტას, შესდგება 317 დეპუტატისაგან. რადგან ბ. გამბეტა ემზადებოდა თავის „დიდი სამინისტროს“ შედგენას და მინისტრებს რჩევის პრეზიდენტად გახდომას, თავისი ადგილი პალატაში სხვა დეპუტატისთვის უნდა დაეთმო. ბ. ბრისონია ეს დეპუტატი, რომელიც აწინდელი პალატის პრეზიდენტად იქმნა არჩეული.

მოუთმენელად ელოდნენ 21 აგვისტოდამ პალატაში სხდომების დაწყებას. ამ დროიდამ 28 ოკტომბრამდინ, თითქმის ორი თვის განმავლობაში, სუფევდა უთაურობა რადიკალების პარტიის პროტესტი გაისმოდა ყოველს მხრით თუნიზის ომის შესახებ და მმართველობის მოქმედებაზედ.

ახალი პალატის სხდომების დაწყებისათანავე გაცხარებული ბაასი ატყდა თუნიზის საქმეზე. ჟულ ფერრიმ, სამინისტროს მოთავემ, ძრიელ კარგად იცოდა, რომ პალატა ანგარიშს მოსთხოვდა ყოველს მოქმედებაზედ. ფერრიმ წარმოსთქვა სიტყვა რომელშიაც იცავდა სამინისტროს ყოველივე ბრალდებულობისაგან, სთქვა, რომ თუნიზის შემოერთებას საფრანგეთის უპირატესი ინტერესი მოითხოვდაო; უარს ჰყოფდა მაზედ, რომ ფინანსიური, ანუ სხვა რამე კომპანიის ანგარიშები ყოფილიყოს თუნიზიის ექსპედიციის მიზეზიო. თუნიზში მყოფს ჯარს ორთავე ნაკლულევანება არა აქვსო; ჩაი შაქარი, ყავა საგებ-სახურავი კონიაკი, — ყოველ[illegible] გავგზავნეთო და სხვა და სხვა.

ფერრის შემდეგ წარმოთქვეს სიტყვები ნაკემ, ლეფორმა და ბ. კლემანსომ. ნაკე ამტკიცებდა, რომ ფერრიმ შეაცდინა ძველი პალატა, პალატამ არ იცოდა ნამდვილი პლანები ფერრისო, 14 მილიონი ისე გამოგვართვა, რომ ნამდვილი დანიშნულება ამ ფულებისა არ შეგვატყობინაო. ლეფორმა, თავის მხრით, სთქვა, რომ თუნიზის ექსპედიცია 21 აგვისტოს ამორჩევებში გამარჯვების მიზნით იყო დაწყებულიო. საყოველთაო და ძრიელი შთაბეჭდილება მოახდინა ბ. კლემანსოს გაცხარებულმა და საბუთიან სიტყვამ. იმის აზრით, ალჟირიის საქმეების თაობაზედ გამოძიება უნდა დანიშნოს პალატამ, რადგან სამინისტრო, ამ საქმეში, პალატისაგან მინიჭებულ უფლებას გადახდა.

პალატამ არც ერთი ეს წინადადება არ მიიღო; ის დათანხმდა გამბეტას წინადადებაზე, რომ პალატა მზად არის აასრულოს თუნიზთან ხელმოწერილი პირობა.

ამ სხდომის შემდეგ ფერრის სამინისტრო დათხოვნილად ითვლება და ყველას ყურადღება გამბეტასაგან ახალ „დიდს სამინისტროს“ შედგენაზედ არის მოქცეული.

ალ. დ.

---

და მისი ღვაწლისა-მებრ მოხსენებული და ს. შემოქმედის სკოლის მდგომარეობა და საჭიროება მართლად გახლდათ ნაჩვენები. სინდისიანი გამგებელი კეთილად ისარგებლებდა ამ ჩვენებით და მოუბოჭდა სკოლას მისს 250 მანეთს, მასწავლებლის ჯამაგირის ფულს სახაზინო გადასახადთან მოაკრეფინებდა, მაგრამ ა. ნ—ძისთანა კაცები კი სხვა რიგად ირჯებიან. ბეჭდვის სიტყვას ისინი თავიანთ მტრად სთვლიან, და ამ მტრის ჯინისათვის გასაკეთებელ საქმეს ხშირად აფუჭებენ.

სკოლისათვის დახმარების მაგიერ. ამ ბ-ნმა უშვერის სიტყვებით გალანძღა ალალ-მართალი მასწავლებელი, (როგორც მწერს ჩემი ოზურგეთელი საიმედო კორრესპონდენტი თავადი ტ. ნ—ძე):—როგორ გაბედე „დროების“ თანამშრომლისათვის სკოლის მდგომარეობის თქმა, რად შეუშვი სკოლაში უბილეთო კაციო? მისდგომია მერე მამასახლისს, რომ „დროების“ თანამშრომელს ბილეთი არ ჰქონდა და რატომ არ დაიჭირეო! მე შენ გიბძანებ აღარ შეუშვა აწი სკოლაში მასწავლებელი (ცერცვაძე), თორემ ვაი შენს ტყავსო.

როგორც გავიგე, მასწავლებელს წერილით მოუხსენებია სახალხო სკოლების დირექტორისათვის ამ საქმის გარემოება, და ვისურვებთ, ბ-ნს არლოვს ღირსეული ყურადღება მიექციოს მისი საკუთარი უფლების პოლიციის მოხელესაგან მითვისებაზე და მასწავლებლის მრავალ მოწამეთ წინაშე უმიზეზოდ გალანძღვაზე.

და თვითონ ა. ნ—ძეს კი ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას. ერთი რამ სამწერლო-ფეშქეში მინდა მივართვა ჩემს მეგობარს ა—ნს საკუთარის ჩემის პორტფელიდამ, რომელშიდაც შენახული მაქვს მაგისთანა მეგობრისათვის საჩუქრები. აი გადავშალე ის განყოფილება, რომელზედაც აწერია: „ოზურგეთის მაზრა.“ ვეძებ ანბანის რიგით ნ—ძე ა—ნს. უჰ, შენი ჭირიმე, რამდენი საჩუქრები მქონია ჩემი კრეჭიასთვის! რომელი ერთი ამოვურჩიო? აი თუნდა ეს იყოს:

1879 წელს 23 ოქტომბერს მაზრის უფროსმა მიწერილობა მისცა თავის თანაშემწეს, ე. ი. ა. ნ—ძეს, რომ:

„ჯუმათის ბაზრის ბაჟი თანაბრად არ არის გაწერილი მოვაჭრებზე, და წინადადებას გაძლევთ თქვენ მოიპოვოთ ღონის-ძიება, რომლითაც მისი გათანახმება შეიძლებოდეს.“

სწორედ რომ დრო იყო მაზრის უფროსს ამისთანა განკარგულება მოეხდინა და ჯუმათლებიც სიხარულით მოელოდნენ ამ დაგვიანებული განკარგულების ასრულებას. რა გგონიათ, მკითხველნო, მალე აასრულა ა. ნ—ძემ ეს საქმე? შენც არ მომიკვდე, დღესაც არ არის ეს საქმე გაკეთებული! რატომ, ამის კი რა მოგახსენოთ, იქნება ნ—ძე სამაზრო გამგეობას საგამდლო ჯალაბობად ჰგონებდეს და ჰფიქრობს დადიანი თუ თავადია მეც თავადი გახლავარ და ქე-რად გავირჯებიო! ასე თუ ისე, მისმა თანაშემწეობითმა ბრწყინვალებამ შემდეგი ვითომ—საპასუხო მოხსენება წარუდგინა თავის უფროსს 1881 წ. 3 ივლისს, № 69, ე. ი. ორის წლის და ათი თვის შემდეგ:

„ჯუმათის ბაზარში შუა ადგილას პატარა გორაკია და მის მოსწორება რომ შეიძლებოდეს, კარგი იქნებაო.“

რა გასაცინარია, სამწუხარო რომ არ იყოს! უფროსი ეუბნება გაწერების გადასახადი გაათანასწორეო, და თანაშემწე აფურთხებს მოვაჭრეთ მდგომარეობას და აწერს უფროსის მოწერილობაზე: „გორაკი მოვასწოროთო.“

ერთს ყრუს ბრმა შეეყარა თურმე და ჰკითხა: — „ბიძა შენი როგორ არის?“ — „მეზობლის ცხენმა ფეხები გაჭიმაო,“ უპასუხა, სწორედ ამას ჰგავს ბ. ნ—ძის პასუხიც.

ზოგი შემდეგ.

---

# განცხადებანი

თბილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თხოვს სოფლის სკოლების მასწავლებელთ რაც შეიძლება მალე აცნობონ პასუხი შემდეგის საგნების შესახებ:

1) რამდენჯერ და როდის მიუღიათ წიგნები და სასწავლო ნივთები გამგეობისაგან ღარიბ მოსწავლეთათვის დასარიგებლად?

2) რავდენიმე ეგზემპლიარი მოუვიდათ თვითთეული სახელმძღვანელოსი და ნივთისა?

3) როგორ მოახმარეს სკოლას გამგეობისაგან შემოწირული წიგნები და ნივთები?

4) რავდენი მოწაფე ქალი და ვაჟი სწავლობს ამ ჟამად სკოლაში?

5) რავდენი ღარიბი ურევია?

6) რა წიგნები და ნივთები არის უფრო საჭირონი სკოლისათვის და

7) რავდენი ეგზემპლიარი თვითეული სახელმძღვანელოსი და წიგნისა უნდა იქმნას გამოგზავნილი სკოლაში ღარიბებისათვის დასარიგებლად.

უოველი ამისი პასუხი ეჭირვება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ახლავე; შემდეგისათვის კი გამგეობა სთხოვს სოფლის სკოლების მასწავლებელთ ყოველს წელიწადს პირველის მარტისათვის მოუთხოვნელად გამოგზავნოთ ხოლმე შემდეგი ცნობები:

1) რავდენი მოწაფეა თქვენს სკოლაში (ქალი და ვაჟი)?

2) რავდენი მათგანი ღარიბია იმდენათ, რომ სრულიად არ შეუძლიან საკუთარის ღონისძიებით მოიპოვოს წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები?

3) რა წიგნები და რა ნივთები და რავდენი უნდა იქმნას გამოგზავნილი სკოლის ღარიბთათვის?

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა სთხოვს სკოლის მასწავლებელთ არ დაუგვიანონ ამ წერილის პასუხი, რომელსაც გამოგზავნიან შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ Канцелярію Тифлисскаго Общества Распространенія Грамотности среди Грузинскаго Населенія Намѣстничества Кавказскаго. Овражская улица, домъ № 9 Паресова.**

თავმჯდომარის ამხანაგი ილ. ჭავჭავაძე.
საქმეთა მწარმოებელი გრ. ყიფშიძე.

(3—1)

# აუქციონი

**19, 26 და 28 ნოემბერს 1881 წელსა კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზში დანიშნულია აუქციონით გასყიდვა ოქრო-ვერცხლის და მვირფას ნივთებისა.** (3—2)

### ინგლისის მაღაზიაში
არწრუნის გალლერეიაში
(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი — ჩაის ყველგან

— — 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—58)

ი. მურადოვის
### წიგნის მაღაზიაში
# ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—18)

თანახმად სასოფლო კრებათა გარდაწყვეტილებისა, «წერა-კითხვის საზოგადოება» მომავალს 1-ს იანვრიდამ ხსნის ორს სასოფლოს, ერთს თონეთში და მეორეს წინარეში და მათთვის ეძებს მასწავლებლებსა,

მასწავლებლის თანამდებობის მსურველთ უნდა მოჰმართონ თხოვნით ხსენებულს საზოგადოების მმართველობას.

მასავლებელს ექნება წელიწადში ოცი და ათი თუმანი, შეშა და მოსამსახურე.

მართველობა საზოგადოებისა იმყოფება მთაწმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარეხაშვილის სახლში № 9 (6—2)

# თფ. ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ნოემბრის თვის 20-ს, შუადღეზე გამგეობის თანა-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი) არენდით გასაცემად კუკიაში ქალაქის ადგილისა ორის წლის ვადით. ამის გამო ვისაც ამ ადგილის არენდით აღება სურს, დაწვრილებით პირობების (კანდიციების) შეტყობა გამგეობის (უპრავის) კანცელარიაში შეუძლიან მუდამ დღე, კვირა-უქმ დღეებს გარდა. (3—2)

# თფილისის საადგილ-მამულო ბანქისაგან

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა, ბანკის წესდების § 15 თანახმად 17 თებერვლის 1881 წლისა, ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 10-ს ამ 1881 წლისა, შუადღეზე, თფილისის ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლში, № 13, იქნება საზოგადო გასყიდვა (უპერეტორჟკოდ) იქ ქვემო-მოხსენებულ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც ბანკიდგან აღებული ვალი დანიშნულ დროზე ვერ შემოიტანეს, ბანკის წესდების § 13, 14, 15, 17, 18 და 19 მუხლებისაგან დადგენილი.

ამატონი, ნაპოლეონ ივანეს-ძე: ა) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანის ფლიგელით, სარდაფით და ორ-სართულიანის შენობით და ბ) ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, თან ადგილი 57,879 ოთხ-კუთხი საჟენი. მე-4 უჩასტკაში 1 განყოფ. ქ. თფილისში, ველიამინოვის ქუჩაზე. თავრი ვალი 602,55 მან. 51 კ., ამას გარდა გარდასახადი 5802 მ. 9 კ. სულ სამოც-და-ექვსი ათასი ორმოც-და ჩვიდმეტი მან. და სამოცი კაპ.

ამატუნი, ნაპლეონ ივანეს-ძე: ვენახი, 2 დეს. 90 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ., სიღნაღის მაზრაში, სოფ. ქარდახანი. თავნი ვალი 2000 მან. ამას გარდა გარდასახადი 65 მან., სულ ორი ათას სამოც და ხუთი მან.

გასყიდვა ამ მამულებისა, ბანკის წესდების § 18 ძალით, დაიწყება ზემოხსენებულ ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება გარდასახადი საეროდ და ხარჯისა.

თავნი ვალი ბანკისა შეიძლება გადახდილ იქმნეს ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით მანეთით მანეთი, შეიძლება აგრეთვე ბანკმა ვალი მამულის მყიდველზე გადაიტანოს; ვადაზე შემოსატანი ფული და სხვა გარდასახადი ნაღდ ფულად უნდა იქმნეს ბანკში შეტანილი.

თუ დანიშნულ დროს, ამ წლის 10 ქრისტეშობისთვეს, ვერ გაისყიდა გასასყიდლად დანიშნული მამულები, ამ შემთხვევაში, ბანკის წესდების § 21-ის ძალით, მეორე და უკანასკნელად დაინიშნება ვაჭრობა (ტორგი) 24 დეკემბრისათვის.

ბანკის წესდების §16-ის ძალით, ვალის ამღებს უფლება აქვს ვალს გარდა რაც გადასახადი ხვდება თავის სარგებლითა ვადაზე შემოუტანლობისათვის და აგრეთვე სხვა ხარჯიც, რაც იმის მამულს გასასყიდლად დანიშვნისათვის დაეხარჯა ბანკს, გასყიდვის (ორგის) დღემდინ შემოიტანს ბანკში.

(3—3)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% იაფად ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—35)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამფ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავჭანას გიარები. (100—45)

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.** (100—82)

### ტაქსია

**საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:
პირველის ხარისხის — 1 გირ. 5½
მეორის „ — 1 გირ. 4 კ.
მესამის „ — 1 გირ. 3½

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველის ხარისხის — 1 გირ. 5½
მეორის „ — 1 გირ. 4½

ჯვარის-მამის პური:
პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 7 კ.
მეორის „ „ — 1 გირ 5½
მესამის „ „ — 1 გირ. 5 კ.

ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის — 1 გირ. 9 კ.
მეორის „ — 1 გირ. 7 კ.
სუკი — — — 1 გირ. 15 კ.
ცხვრის ხორცი 1 გირ. 9 კ.

ღორის ხორცი:
პირველი ხარისხის — 1 გირ.
მეორის „ — 1 გირ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Ноября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი